პრეზიდენტი
თომას ს. მონსონი



სატაძრო ლოცვა-კურთხევანი

ტაძარი უზრუნველყოფს ჩვენს ცხოვრებას მიზნით. იგი ამშვიდებს ჩვენს სულებს, მაგრამ არა იმ სიმშვიდით, რასაც ადამიანები გვთავაზობენ, არამედ იმით, რომელსაც გვპირდება ძე ღვთისა სიტყვებით: „მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ."

ტაძარში ჩვენ შევიგრძნობთ უფლის სიახლოვეს

მე ვფიქრობ, რომ მთელს სამყაროში ვერ მოიძებნება ისეთი ადგილი, სადაც უფალთან სიახლოვე იმაზე მეტია, ვიდრე მე ამას ვგრძნობ მის წმინდა ტაძარში. მოდით გამოვიყენოთ პარაფრაზი:

რაოდენ მორსაა ჩვენგან ზეცა?
არა, არც ისე მორსაა.
ღვთის ტაძრებში
ზუსტად იქ, სადაც ჩვენ ვიმყოფებით.

უფალმა თქვა:

„ნუ დაიუნჯებთ მიწაზე, სადაც ჩრჩილი და ჟანგი სპობს და სადაც ქურდები თხრიან და იპარავენ.

„დაიუნჯეთ ცაში, სადაც არც ჩრჩილი და ჟანგი სპობს და სადაც არც ქურდები თხრიან და იპარავენ.

„ვინაიდან, სადაც თქვენი საუნჯეა, თქვენი გულიც იქვე იქნება."[1]

უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წევრებისთვის, ტაძარი ყველაზე წმინდა ადგილია მთელს დედამიწაზე. ტაძარი სახლია უფლისა და როგორც მის გარე წარწერაზე ვკითხულობთ, იგი არის „უფალს სიწმინდე".

ტაძარში ამაღლებასა და განდიდებას განვიცდით

ტაძარში ღვთის უძვირფასეს გეგმით გვმოძღვრავენ. ზუსტად ტაძარში ვდებთ მარადიულ აღთქმებს. ტაძარი გვამაღლებს, გვადიდებს, არის ჩვენი მთაგორების წყარო და ცელესტიალურ დიდებისკენ მიმავალ გზას გვიჩვენებს. იგი სახლია ღვთისა. ყოველივე, რაც კი ტაძარში სრულდება, ემსახურება სულის ამაღლებას და გაკეთილშობილებას.

ტაძარი ოჯახებისთვისაა, იმ ერთ-ერთი უდიდესი ფასეულობისათვის, რაც ჩვენ გაგვაჩნია ამ მიწიერ ცხოვრებაში. უფალმა გარკვევით დაგვარიგა ჩვენ, მამებს, რომ გვევალება მეუღლისა და შვილების მთელი გულითა და სულით სიყვარული და მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფა. მან აღნიშნა, რომ ყველაზე დიდი სამუშაო, რომლის შესრულება შეგვიძლია ჩვენ, როგორც მშობლებს, ტარდება სახლში. სახლი კი შეიძლება გადაიქცეს ზეცად, განსაკუთრებით თუ ჩვენი ქორწინება ჩაბეჭდილია ღვთის სახლში.

აწ გარდაცვლილმა, უხუცესმა მეთიუ ქოულიმ, თორმეტ მოციქულთა ქვორუმის წევრმა, გვიამბო, რომ ერთხელ მაბათს, შუადღეს, თავისი შვილიშვილის დაბადების დღეს, მან ხელი ჩაკიდა მას და მიიყვანა იგი ტაძართან, და არა ზოოპარკში ან კინოში. ისინი ტაძრის დიდ კარებთან მივიდნენ. მან შესთავაზა გოგონას, ხელით ჯერ მყარ კედელს შეხებოდა და შემდეგ კი მასიურ კარებს. ამის შემდეგ მან ალერსიანად უთხრა მას: „დაიმახსოვრე ეს დღე, შენ დღეს ტაძარს შეეხე. დადგება დრო, როდესაც შენ თაძარში შეხვალ.” მისი საჩუქარი პატარას კანფეტზე და ნაყინზე ბევრად მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი რამ იყო. ეს გახლდათ უფლის სახლის მიმართ მადლიერების გრძნობის ჩასახვა. იგი ტაძარს ხელით შეეხო, ტაძარი კი შეეხო მის გულს.

ტაძარს ჩვენს სულში სიმშვიდე შემოაქვს

როდესაც ჩვენ ტაძარს ვეხებით და მის მიმართ სიყვარულით ვივსებით, ჩვენი ცხოვრება ჩვენს რწმენაზე ზეგავლენის უნარიანი ხდება. როდესაც შევდივართ წმინდა სახლში და გვახსოვს ყოველი აღთქმა, რომელსაც ჩვენ იქ აღვუქვამთ უფალს, ამით ჩვენ გვეძლევა ძალა, ავიტანოთ ნებისმიერი სიძნელე და მოვერიოთ ყოველ ცდუნებას. ტაძარი ჩვენს ცხოვრებას მიზანს ანიჭებს. იგი ამშვიდებს ჩვენს სულებს, მაგრამ არა იმ სიმშვიდით, რასაც ადამიანები გვთავაზობენ, არამედ იმით, რომელსაც გვპირდება ძე ღვთისა სიტყვებით: „მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ. სოფელი რომ იძლევა, ისე კი არ გაძლევთ. ნუ შეკრთება თქვენი გული და ნურც შეშინდება.”[2]

უკანასკნელი დღეების წმინდანებს დიდი რწმენა აქვთ. უფალი გვაძლევს შესაძლებლობას დავანახოთ მას, რომ ჩვენ დავიცავთ მის მცნებებს, მივყვებით იმ გზას, რომელსაც იესო ნაზარეველი მიჰყვებოდა; მას სურს იხილოს ის, რომ ჩვენ გვიყვარს უფალი მთელი ჩვენი გულით, ძალით, გონებით და ღონით, და გვიყვარს მოყვასი ჩვენი ვითარცა თავი ჩვენი.[3]

მე ვეთანხმები იგავს: „დაენდე უფალს მთელი შენი გულით და შენს გონებას ნუ დაეყრდნობი. ყველა შენს გზაზე შეიცანი იგი და ის გაასწორებს შენს ბილიკებს.”[4]

ასე ყოველთვის იყო, ასე ყოველთვის იქნება. თუ ჩვენ აღვასრულებთ ჩვენს მოვალეობას და მთლიანად ვენდობით უფალს, მისი ტაძრები აღივსება ჩვენი ხალხით, რომელიც არა მარტო საკუთარ წეს-ჩვეულებებზე მუშაობს, არამედ იყენებს უპირატესობას სხვათათვის აღასრულოს სატაძრო სამუშაო. ჩვენ მოვიდრეკთ მუხლს წმინდა საკურთხევლის წინაშე იმისათვის, რათა გავხდეთ რწმუნებულნი იმ ჩაბეჭდვის ცერემონიაში, რომელიც მარადიულად გააერთიანებს ქმარს, ცოლს და მათ შვილებს. ღირსეულ ახალგაზრდებს, რომლებმაც მიაღწიეს თორმეტი წლის ასაკს, შეუძლიათ იყვნენ რწმუნებულნი მათთვის, ვინც წავიდა ამ ქვეყნიდან ნათლობის კურთხევის გარეშე. მამაზეციერს ეს ყოველი ჩვენთაგანისთვის სწადია.

სასწაული მოხდა

მრავალი წლის წინ, მორჩილმა და ერთგულმა პატრიარქმა, ძმა პერსი კ. ფეთხერმა, მიიღო მოწოდება კომუნისტურ ქვეყნებში მცხოვრებ ხალხთან წასვლის თაობაზე ეკლესიის წევრებისთვის საპატრიარქო კურთხევების მისაცემად.

იმ მძიმე დღეებში ძმა ფეთხერი პოლონეთში გაემგზავრა. საზღვრები ჩაკეტილი იყო, არც ერთ მოქალაქეს ქვეყნიდან გასვლის უფლება არ ჰქონდა. ძმა ფეთხერი იქ შეხვდა გერმანელ წმინდანებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მეცვლილი საზღვრების გამო აღმოჩნდნენ პოლონეთის ტერიტორიაზე.

ძმა ერიკ ჰ. კონიეტსი, რომელიც იქ თავის მეუღლესთან და შვილებთან ერთად ცხოვრობდა, გერმანელ წმინდანთა შორის ლიდერი იყო. ძმა ფეთხერმა ძმა და და კონიეტსს, მათ შვილებთან ერთად, საპატრიარქო ლოცვა-კურთხევა მისცა.

როდესაც ძმა ფეთხერი შეერთებულ შტატებში დაბრუნდა, მან დამირეკა და მთხოვა, რომ მას შევხვედროდი. როდესაც ის ჩემს კაბინეტში იჯდა, მან ტირილი დაიწყო. მან თქვა: ძმაო მონსონ, როდესაც მე კონიეტსის ოჯახის წევრებს თავზე ხელები დავადე, მე მათ ისეთი რამ შევპირდი, რასაც აღსრულება არ უწერია. მე შევპირდი ძმა კონიეტსს და მის მეუღლეს, რომ ისინი შეძლებდნენ თავის მშობლიურ გერმანიაში დაბრუნებას და აღარ იცხოვრებდნენ ტყვეობაში გამარჯვებული ქვეყნის ლიდერების თვითნებური გადაწყვეტილებების გამო, და რომ ისინი ჩაიბეჭდებიან, როგორც ოჯახი, უფლის სახლში. მე შევპირდი მათ ვაჟიშვილს, რომ ის მისიაზე წავიდოდა, მათ ქალიშვილს კი ღმერთის წმინდა ტაძარში დაქორწინება დავპირდი. ჩვენ ორივემ ვიცით, რომ

ჩაკეტილი საზღვრის გამო ეს ლოცვა-კურთხევები არ აღუსრულდებათ. ეს რა ვქენი?”

მე ვუპასუხე: „ძმაო ფეთზერ, მე თქვენ საკმაოდ კარგად გიცნობთ და ვიცი, რომ თქვენ მხოლოდ მამაზეციერის ნებას ასრულებდით.” ჩვენ ორივემ დავიჩოქეთ ჩემს საწერ მაგიდასთან და გადავუშალეთ მამაზეციერს გულები ლოცვაში მასზედ, რომ ამ თავდადებული ოჯახისთვის დაპირებული ლოცვა-კურთხევანი, ტაძრის ჩათვლით, აღემატებოდა ჩვენს პირად ძალას. მხოლოდ მაღალ ღმერთს შეეძლო იმ სასწაულის მოხდენა, რომელიც ჩვენ გვჭირდებოდა.

მოხდა სასწაული. პოლონეთის მთავრობამ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ლიდერებმა მოაწერეს ხელი პაქტს, რის შედეგადაც ყველა გერმანელი ეროვნების ადამიანი, რომელიც იძულებით იმყოფებოდა ამ ტერიტორიაზე, უნდა გადასულიყო საცხოვრებლად დასავლეთ გერმანიაში. ძმა კონიეტსი თავის მეუღლესთან და შვილებთან ერთად გადავიდა დასავლეთ გერმანიაში, სადაც იგი გახდა იმ მეურვეობის ეპისკოპოსი, სადაც ისინი ცხოვრობდნენ.

კონიეტსის მთელი ოჯახი გაემგზავრა შვეიცარიის წმინდა ტაძარში. ვინ გახლდათ ტაძრის პრეზიდენტი, რომელიც მათ იქ დახვდა თეთრ ტანსაცმელში ხელებ გამლილი? წარმოიდგინეთ, სხვა არავინ, თუ არა პერსი ფეთზერი, პატრიარქი, რომელმაც მათ ეს დაპირებები მისცა. ახლა, შვეიცარიაში, ბერნის ტაძრის პრეზიდენტის როლში, იმ დაპირების დასტურად, ის ესალმებოდა მათ უფლის სახლში. მან ცოლ-ქმარი და შვილები მარადიულად ჩაბეჭდა ერთად.

ქალიშვილი დაქორწინდა უფლის სახლში. ვაჟიშვილმა მიიღო მოწოდება და იმსახურა მისიაზე.

„ტაძარში შეხვედრამდე!”

ზოგი ჩვენთაგანი მეტად ახლოს ცხოვრობს ტაძართან. დანარჩენს ღმერთის წმინდა ტაძარში მოსახვედრად საკმარისი მანძილის დაფარვა სჭირდება, ზოგჯერ ოკეანების გადაკვეთაც კი.

რამოდენიმე წლის წინ, ვიდრე სამხრეთ აფრიკაში ტაძარი აშენდებოდა, დავესწარი რა საოლქო კონფერენციას იმ დროს ეგრეთ წოდებულ სალისბერიში, როდეზიაში, სადაც შევხვდი საოლქო პრეზიდენტს, რეჯინალდ ჯ. ნილდს. ის თავის მეუღლესთან და მშვენიერ ქალიშვილებთან ერთად სამლოცველოს შემოსასვლელში შემხვდა. მათ მითხრეს, რომ წლების განმავლობაში აგროვებდნენ ფულს და ემზადებოდნენ იმ დღისთვის, როდესაც ისინი უფლის ტაძარში შეავიდოდნენ. ო, რა შორი იყო ტაძარი მათგან.

შეკრების დასასრულს ოთხი მშვენიერი გოგონა შეკითხვებს მაძლევდა ტაძრის შესახებ: „როგორია ტაძარი? ჩვენ ის მხოლოდ სურათებზე გვაქვს ნანახი.” „რას ვიგრძნობთ ტაძარში ყოფნისას?” „რა დაგვამახსოვრდება ყველაზე მეტად?” დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში მე მქონდა საშუალება მესაუბრა ამ ოთხ გოგონასთან უფლის სახლის თაობაზე. როდესაც აეროპორტში გავემგზავრე, ისინი ხელის ქნევით მემშვიდებოდნენ, ყველაზე უმცროსმა გოგონამ კი მითხრა: „ტაძარში შეხვედრამდე!”

ერთი წლის შემდეგ მე ნილდების ოჯახს სოლთ ლეიქის ტაძარში ვესალმებოდი. წყნარ ჩაბეჭდვის ოთახში მე მქონდა პატივი დროსა და მარადისობაში ჩამებეჭდა ძმა და და ნილდი. კარი გაიღო და შემოვიდნენ მათი მშვენიერი, სპეტაკ კაბებში გამოწყობილი, ქალიშვილები. ისინი გადაეხვივნენ ჯერ დედას, შემდეგ მამას. მათ თვალში ცრემლი, გულში კი მადლიერება ჰქონდათ. ჩვენ ზეცასთან ახლოს ვიმყოფებოდით. ყოველ მათგანს შეეძლო ეთქვა: „ჩვენ ახლა მარადიულ ოჯახს წარმოვადგენთ.”

ეს საოცარი კურთხევა ყოველ ტაძარში შემავალ ადამიანს ელოდება. დაე ყოველ ჩვენთაგანმა ღირსეულად იცხოვროს სუფთა ხელებითა და სპეტაკი გულით, თანაც ისე, რომ ტაძარს ზეგავლენა მოეხდინოს ჩვენზე და ჩვენს ოჯახებზე.

რაოდენ შორსაა ჩვენგან ზეცა? მე ვამოწმებ, რომ წმინდა ტაძრებში ის სულაც არ არის ჩვენგან შორს, რადგან ზუსტად ამ წმინდა ადგილებში დედამიწა და ზეცა ერთმანეთს ხვდებიან, და მამა ჩვენი ზეციერი თავის შვილებს უდიდეს დალოცვებს აძლევს.

შენიშვნები

1. მათე 6:19–21.
2. იოანე 14:27.
3. იხილეთ მათე 22:37–39.
4. იგავები 3:5–6.

© 2010 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია ა.შ.შ.-ში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი *First Presidency Message, October 2010*. Georgian. 09370 131

პრეზიდენტი ბოიდ კ. პაკერი,
თორმეტ მოციქულთა ქვორუმის
პრეზიდენტი

წმინდა ტაძარი

ტაძრებში ეკლესიის ყოველ ღირსეულ წევრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ყველაზე ამაღლებულ გამოსყიდვის წეს-ჩვეულებებში, რომლებიც ოდესმე თუ გამხელილა კაცობრიობისათვის.

ტაძრებში ჩვენ შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ ყველაზე ამაღლებულ გამოსყიდვის წეს-ჩვეულებებში

ტაძარში წასასვლელად ადამიანს შეიძლება ჰქონდეს უამრავი მიზეზი. თვითონ ტაძრის გარეგნული ზემოქმედებაც კი მიგვანიშნებს მის შინაგან ღრმა სულიერ დანიშნულებას. ეს უფრო ამკარად მჟღავნდება ტაძარში ყოფნისას. ტაძარში შესასვლელ კარის თავზე არის წარწერა: „უფალს სიწმინდე". როდესაც თქვენ შედიხართ მიძღვნილ ტაძარში, თქვენ უფლის სახლში იმყოფებით.

ეკლესიის ღირსეულ წევრებს ეძლევათ საშუალება მიიღონ მონაწილეობა ყველაზე ამაღლებულ გამოსყიდვის წეს-ჩვეულებებში, რომლებიც ოდესმე გამხელილა კაცობრიობისათვის. იქ, წმინდა ცერემონიის დროს, ადამიანი განიბანება, ღებულობს მირონცხებას, რჩევა-დარიგებებს, მოსილებას და ჩაბეჭდვას. და როდესაც ვღებულობთ ამ კურთხევას ჩვენთვის, ჩვენ შეგვიძლია ეს გავაკეთოთ მათთვისაც, ვინც გარდაიცვალა და ვერ მიიღო ეს ლოცვა-კერთხევები. ტაძრებში წმინდა წეს-ჩვეულებები აღისრულება როგორც ცოცხალთათვის, ასე გარდაცვლილთათვის, თანაბრად.

ტაძრის წეს-ჩვეულებები და ცერემონიები უბრალო, მშვენიერი და წმინდაა

წმინდა წერილების ყურადღებით წაკითხვა გვიჩვენებს იმას, რომ უფალმა ყველაფერი როდი გაუმხილა ხალხს. არსებობენ გარკვეული მოთხოვნილებანი, რომლებიც წმინდა ცოდნის მიღებისათვის წარმოადგენენ აუცილებელ წინაპირობას. ტაძრის ცერემონიები ზუსტად ამ კატეგორიას განეკუთვნებიან.

ჩვენ არ ვსაუბრობთ ტაძრის წეს-ჩვეულებებზე ტაძრის კედლების მიღმა. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ცოდნა სატაძრო ცერემონიების შესახებ განკუთვნილია მხოლოდ ვიწრო წრისათვის და სხვებს არ ეძლევათ საშუალება გაეცნონ მათ, პრაქტიკულად პირიქით: ჩვენ წავაქეზებთ კიდეც ყველას ტაძარში შესასვლელად მომზადებისათვის. ყოველმა ტაძარში ნამყოფმა ადამიანმა იცის, რომ დადგება დრო, როდესაც ყოველი სული, რომელიც ცოცხლობს ან ოდესმე უცხოვრია, მოისმენს სახარებას და შედეგად ამისა, იგი ან მიიღებს და ან უარყოფს იმას, რასაც მას ტაძარი სთავაზობს. თუ კი ასეთი უარყოფა მაინც მოხდება, მაშინ უარის პასუხისმგებლობა ეკისრება იმას, ვინც უარი განაცხადა.

ტაძრის წეს-ჩვეულებები და ცერემონიები უბრალოა. ისინი მშვენიერია. ისინი წმინდაა.

ისინი კონფიდენციალურიცაა, რადგან არ უნდა მოისმინონ იმათ, ვინც საამისოდ არ არის მზად. ცნობისმოყვარეობა არ ნიშნავს მზადყოფნას. ღრმა ინტერესიც კი არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი მზადაა ამ ცოდნისთვის. წეს-ჩვეულებებისთვის მომზადება შეიცავს შემდეგ წინასწარ ნაბიჯებს: რწმენა, მოწანიება, ნათლობა, დამტკიცება, ღირსეულობა, სიმწიფე და ღირსება. ეს აუცილებელი თვისებები უნდა გააჩნდეს ყოველს, ვინც უფლის სახლშია მიპატიჟებული.

მხოლოდ ღირსეულებს შეუძლიათ ტაძარში შესვლა

ყოველი ღირსეული ადამიანი, რომელიც აკმაყოფილებს ტაძარში შესასვლელ პირობებს, უნდა ეზიაროს წმინდა ცერემონიებს და წეს-ჩვეულებებს.

საკმარისია ერთხელ მაინც იგრძნოთ ტაძრის კურთხევათა ღირებულება და წეს-ჩვეულებათა სიწმინდე, რომ აღარასოდეს დაეჭვდეთ იმ მაღალ მოთხოვნილებების მიმართ, რომლებიც დააწესა უფალმა წმინდა ტაძარში შესასვლელად.

ტაძარში შესასვლელედ საჭიროა იქონიოთ მოქმედი რეკომენდაცია. ამ რეკომენდაციას ხელს უნდა აწერდეს ეკლესიის შესაბამისი სასულიერო პირი. მხოლოდ ღირსეულნი უნდა იმსახურებდენ უფლებას ტაძარში შესასვლელად. სატაძრო წეს-ჩვეულებების მიღებამდე თქვენი ადგილობრივი ეპისკოპოსი ან მრევლის პრეზიდენტია პასუხისმგებელი მასზედ, რომ დაადგინოს, ხართ თუ არა ღირსი ტაძარში შესასვლელად. ამ გასაუბრებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს ის შემთხვევაა, როდესაც უფლისაგან ხელდასხმულ მსახურთან ერთად გადახედავთ თქვენს ცხოვრებას. თუკი თქვენს ცხოვრებაში არის რაიმე მიუღებელი, ეპისკოპოსი დაგეხმარებათ მის გამოსწორებაში. ამ პროცედურის გავლით თქვენ შეძლებთ ან თვითონ აღიაროთ, რომ ღირსნი ხართ შეხვიდეთ ტაძარში, ან უფლის მსახურის დახმარებით მიგიჩნიონ ასეთად.

სატაძრო რეკომენდაციის მისაღებად გასაუბრება ტარდება კონფიდენციალურად ეპისკოპოსისა და ეკლესიის წევრის შორის. ეპისკოპოსი ეკლესიის წევრს ეკითხება მის პირად ყოფაქცევას, ღირსეულობას, მის ერთგულებას ეკლესიისა და მის მსახურთა მიმართ. ადამიანმა უნდა დაადასტუროს, რომ ის არის სუფთა ზნეობრივად და არ არღვევს სიბრძნის სიტყვის კანონს, არის მეათედის სრული გადამხდელი, ცხოვრობს ჰარმონიულად ეკლესიის სწავლების მიმართ, და არ აქვს არანაირი ურთიერთობა რჯულგანდგომილებთან. ეპისკოპოსმა იცის, რომ ყოველი გასაუბრების დროს კონფიდენციალობის დაცვა არის უაღრესად მნიშვნელოვანი პრინციპი.

ჩვეულებრივ, წევრის ღირსეულების დასადგენად სატაძრო რეკომენდაციის მიღებისათვის, საკმარისია ეპისკოპოსის კითხვებზე მისაღები პასუხების გაცემა. თუ ადამიანი არ იცავს მცნებებს ან მის ცხოვრებაში არის რაიმე ის, რაც მოსაწესრიგებელია, რეკომენდაციის მიღებამდე მან ჯერ გულწრფელად უნდა მოინანიოს.

ეპისკოპოსთან ჩატარებულ გასაუბრებას მოჰყვება პალოს პრეზიდენტის გასაუბრება, და მხოლოდ ამის შემდეგ თქვენ შეგეძლებათ სატაძრო წეს-ჩვეულებების მიღება.

სწავლება ტაძარში სიმბოლურია

ტაძარში პირველად შესვლამდე, ან თუნდაც მასში მრავალჯერ ყოფნის შემდეგ, თქვენ უნდა მიხვდეთ იმას, რომ ტაძარში სწავლება სიმბოლურ ხასიათს ატარებს. უფალი, ოსტატი მასწავლებელი, ძირითადად ასე ასწავლიდა.

ტაძარი არის უდიდესი სკოლა. ტაძარი არის განათლების სახლი. ტაძარში ინარჩუნებენ ატმოსფეროს, რომელიც იდეალურია ღრმა სულიერი საკითხების შესასწავლად. აწ გარდაცვლილი, უხუცესი ჯონ ა. უიდსთოუ, თორმეტ მოციქულთა კვორუმის წევრი, კარგად ცნობილი უნივერსიტეტის პრეზიდენტი და მთელს მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი იყო. იგი ღრმა პატივს სცემდა სატაძრო სამუშაოს და ერთხელ ბრძანა:

სატაძრო წეს-ჩვეულებები შეიცავენ ხსნის ერთ მთლიან გეგმას, რომელიც განმარტავს რთულ საკითხებს, თვითონ გეგმას კი დროთადრო ასწავლიან ჩვენი ეკლესიის წინამძღვრები. ტაძრის სწავლებებს არ სჭირდება არანაირი მორგება ხსნის დიადი გეგმის ჩარჩოში ჩასასმელად. სატაძრო მოსილების ფილოსოფიური სისრულე არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სატაძრო წეს-ჩვეულებების ჭეშმარიტების დამცავი არგუმენტი. ამ მიმოხილვის სისრულისა და სახარების დეტალური ახსნისათვის სატაძრო მსახურება გვევლინება როგორც სახარების სტრუქტურის გონებამი გადახალისების ერთ-ერთი

ყველაზე ეფექტური მეთოდი (“Temple Worship,” *Utah Genealogical and Historical Magazine,* აპრილი, 1921, გვ.58).

თუკი თქვენ შეხვალთ ტაძარში იმ განწყობით, რომ სწავლება სიმბოლურია, თქვენ გამოხვალთ იქიდან გაუმჯობესებული ხედვით, უფრო ამაღლებული გრძნობით, სულიერ საკითხებში გაღრმავებული ცოდნით. სწავლების გეგმა დიდებულია. იგი მთაგონებით არის მიღებული. თავად უფალი, ოსტატი მასწავლებელი, ასწავლიდა თავის მოციქულებს იგავების გამოყენებით. ეს ზეპირსიტყვიერების ის ხერხია, რომლის დროსაც საგანთა სიმბოლური წარმოდგენები იხმარება, სხვაგვარად მათი გაგება რთულდება.

თვით ტაძარიც კი სიმბოლოდ გარდაისახება. თუკი თქვენ გინახავთ ტაძარი ღამით, სრულიად განათებული, მაშინ თქვენ იცით, რამდენად მთამბეჭდავ სანახაობას წარმოადგენს იგი. სახლი უფლისა, სიბნელეში გასხივოსნებული, დგას როგორც იესო ქრისტეს სახარების ძალისა და მთაგონების სიმბოლო. იგი შუქურასავით დგას სამყაროში, რომელიც უფრო და უფრო იძირება სულიერ სიბნელეში.

ტაძარში შესვლისას თქვენ იცვლით ყოფით ცხოვრების ტანსაცმელს თეთრ სატაძრო ტანსაცმელზე. ეს ხდება გასახდელში, სადაც ყოველ ადამიანს ეძლევა პირადი სარგებლობის საკეტიანი კარადა და ოთახი. ტაძარში გულმოდგინედაა დაცული მორიდებულობის იდეა. როდესაც თქვენ მოათავსებთ ტანსაცმელს კარადაში, თქვენ იქვე ტოვებთ თქვენს ყოველ დარდსა და საზრუნავს. თქვენ გამოდიხართ ამ პატარა პირადი გასახდელიდან, გაცვიათ თეთრი ტანსაცმელი და თქვენ გეუფლებათ ერთობისა და თანასწორობის გრძნობა, რამე თუ თქვენს ირგვლივ ყველა ერთნაირადაა შემოხილი.

სატაძრო ქორწინება არის ტაძრის საბოლოო წეს-ჩვეულება

მათ, ვინც მოუთმენლად ელოდებიან სატაძრო ქორწინებას, სურთ იცოდნენ, თუ რა მოხდება ტაძარში. ჩვენ არ ვახმოვანებთ ჩაბეჭდვის (ქორწინების) წეს-ჩვეულების სიტყვებს ტაძრის მიღმა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გითხრათ, რომ ჩაბეჭდვის ოთახი მშვენიერია, იდუმალი, და უმფოთველი, იგი განწმენდილია იქ მიმდინარე წმინდა მსახურებებით.

სანამ წყვილი მიუახლოვდება საკურთხეველს ჩასაბეჭდად, მას, ვინც ატარებს ამ ცერემონიას, ეძლევა საშუალება გაუზიაროს მამაკაცსა და ქალს რჩევა-დარიგებანი. ახალგაზრდა წყვილმა შეიძლება გაიგონოს დაახლოებით ასეთი რამ:

დღეს თქვენი ქორწინების დღეა. თქვენ მთლიანად შეპყრობილი ხართ თქვენი შეუღლების ემოციით. ტაძრები სავანესავით აშენდა ასეთი წეს-ჩვეულებებისთვის. ჩვენ არ მივეკუთვნებით ამასოფელს. არაფერი მიწიერი არ ეხება არც აქაურობას და არც იმას, რაც აქ სრულდება. უფლის სახლში შესვლისას ჩვენ სამყაროს განვეშორეთ. ეს თქვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი დღეა.

თქვენ დაიბადეთ ამ დედამიწაზე მშობელთა მოპატიჟებით, რითაც მათ განამზადეს თქვენი სულისათვის მიწიერი კარავი. ყოველი თქვენთაგანი მოინათლა. ნათლობის წმინდა წეს-ჩვეულება არის განწმენდის, სიკვდილის, აღდგომის და ახალი ცხოვრებისა და დაბადების სიმბოლო. იგი გულისხმობს მონანიებას და ცოდვების მიტევებას. უფლის სერობით ზიარება წარმოადგენს ნათლობის აღთქმის განახლებას, და ჩვენ შეგვიძლია, თუ კი ამას მოვისურვებთ, ცოდვების მიტევებაც.

თქვენ, ნეფევ, გაკურთხეს მღვდლობა. თქვენ თავიდან აარონის მღვდლობა მიიღეთ და ალბათ წარმატებებს მიაღწიეთ დიაკვანის, მასწავლებლის და მღვდლის როლში. შემდეგ დადგა დღე, როდესაც თქვენ მიგიჩნიეს ღირსად მელქიცედეკის მღვდლობის მისაღებად. ეს უფრო მაღალი დონის მღვდლობა განიმარტება, როგორც ღვთის მღვდელთმსახურების სიმაღლის სიწმინდის მღვდლობა, ან ღვთის ძის მღვდელთმსახურების წმინდა მღვდლობა (იხ. ალმა 13:18; ჰელამანი 8:18; მოძღვრება და აღთქმები 107: 2–4). თქვენ მოგენიჭათ მღვდლობის წოდება. თქვენ ახლა უხუცესი ხართ.

ყოველმა თქვენთაგანმა მიიღო სატაძრო მოხილება. ამ მოხილებით თქვენ შემელით თქვენი მარადიული სულიერი პოტენციალის განთავსება. მაგრამ ყოველივე ეს, ერთ მნიშვნელოვნად, იყო წინასწარ მოსამზადებელი პროცესი თქვენი საკურთხეველთან მისვლისა და მეუღლესთან ერთად დროსა და მარადიულობაში ჩაბეჭდვისა. თქვენ სულ მალე ოჯახი გახდებით, თავისუფალი შემოქმედებისათვის, ცხოვრების შესაქმნელად, თქვენი თავდადებითა და მსხვერპლშეწირვით ამ

ქვეყნად შვილების მოსავლენად და აღსაზრდელად, რათა უდრტვინველად გაატაროთ ისინი ამ მიწიერ ცხოვრებაში და იხილოთ ისინი ტაძრის წმინდა მსახურების მონაწილეებად ამ წეს-ჩვეულებებში.

თქვენ საკუთარი სურვილით მოხვედით და მიგიჩნიეს ღირსად ამისა. ერთმანეთის მიღება საქორწინო აღთქმაში არის უდიდესი პასუხისმგებლობა, ისეთი, რომელსაც მოჰყვება უთვალავი კურთხევა.

ჩაბეჭდვის ძალა კრავს როგორც დედამიწაზე ისე ზეცაშიც

თუ ჩვენ გვსურს ჩავწვდეთ სატაძრო სამსახურის ისტორიას და მოძღვრებას, საჭიროა გავაცნობიეროთ ის, თუ რა არის ჩაბეჭდვის ძალა. ჩვენ უნდა განვჭვრიტოთ, ყოველ შემთხვევაში ოდნავ მაინც ის, თუ რატომ აქვს მინიჭებული ჩაბეჭდვის გასაღებებს ამდენად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩაბეჭდვის ძალის გამოყენებისას.

„ფილიპეს კესარიის მხარეს რომ მიდიოდნენ, იესომ ჰკითხა თავის მოწაფეებს: რას ამბობს ხალხი, ვინ არის კაცის ძე? . . .

„სიმონ-პეტრემ უთხრა მას პასუხად: შენა ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღვთისა.

„მიუგო იესომ და უთხრა მას: ნეტარ ხარ შენ, სიმონ იონას ძევ, ვინაიდან შენ ეს გამოგიცხადა არა ხორცმა და სისხლმა, არამედ მამაჩემმა, რომელიც ცაშია.

„მეც გეუბნები შენ: შენა ხარ პეტრე და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას და მას ვერ დაძლევენ ჯოჯოხეთის ბჭენი.

„მოგცემ ცათა სასუფევლის გასაღებებს და, რასაც შეჰკრავ მიწაზე, ზეცაშიც შეკრული იქნება, ხოლო რასაც გახსნი მიწაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც" (მათე 16:13, 16–19).

პეტრე გასაღებების მატარებელი იყო. პეტრეს გააჩნდა იმ ჩაბეჭდვის ძალა-უფლება, რომლითაც როგორც დედამიწაზე, ასევე ზეცაში, შესაძლებელი ხდება შეკვრა, ჩაბეჭდვა და გახსნა. ამ გასაღებების მფლობელი ამჟამად გახლავთ ეკლესიის პრეზიდენტი, რომელიც ამავე დროს არის წინასწარმეტყველი, წინასწარმჭვრეტი და განმცხადებელი. ეს ჩაბეჭდვის წმინდა ძალა ახლა ეკლესიაში მოიპოვება. მათ, ვინც იციან ამ ძალა-უფლების დიდმნიშვნელოვნება, სხვას არაფერს არ მიიჩნევენ ამაზე დიდ სიწმინდედ. ეს არის ის ძალა, რომელსაც ძალიან უფრთხილდებიან. არსებობს არც თუ ისე ბევრი ადამიანი დედამიწაზე, რომლებსაც ანდობდნენ ჩაბეჭდვის ამ ძალას დროის კონკრეტულ შუალედებში, ხოლო ყოველ ტაძარში მღვდელთმსახურები ფლობენ ჩაბეჭდვის ძალას. ვერავინ ვერ მიიღებს მას თუ არა წინასწარმეტყველის, წინასწარმჭვრეტის და განმცხადებლის, უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის, პრეზიდენტისაგან.

წინასწარმეტყველი იოსებ სმითი ამბობდა, რომ მას ხშირად ეკითხებოდნენ: „ნუთუ ვერ გადავრჩებით ამ წეს-ჩვეულებებისა და ამდაგვარ მოთხოვნილებათა გარეშე?" მე ასე ვუპასუხებდი: გადარჩენის სისრულეს ვერ მოვიპოვებდით. იესომ თქვა: „ჩემი მამის სახლში ბევრი სავანეა. მე მივდივარ, რათა ადგილი გაგიმზადოთ". (იხ. იოანე 14:2.) *აქ ნახსენები სახლი* უნდა გავიგოთ როგორც სასუფეველი. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ამაღლდება უზენაეს სასუფევლამდე, ვალდებულია სავსებით დაიცვას ცელესტიალური კანონი" (*History of the Church,* 6:184).

სატაძრო სამუშაო ჩვენი სულიერი ძალის წყაროა

ტაძრები ეკლესიის სულიერი ძალის ცენტრებს წარმოადგენენ. ჩვენ უნდა ველოდოთ იმას, რომ ჩვენი მოწინააღმდეგე ეცდება ხელი შეგვიშალოს როგორც ეკლესიას, ასევე ცალკეულ პიროვნებებს, იმ დროს, როდესაც ჩვენ ვცდილობთ მივიღოთ მონაწილეობა ამ წმინდა და შთაგონებელ სამუშაოში. სატაძრო სამუშაო ამდენ წინააღმდეგობას უპირისპირდება, ვინაიდან ის წარმოადგენს მთლიანი ეკლესიის და თითოეული უკანასკნელი დღეების წმინდანთა უდიდეს სულიერი ძალის წყაროს.

ლოგანის, იუტას ტაძრის ქვაკუთხედის მიძღვნის ცერემონიაზე, პრეზიდენტმა ჯორჯ ქ. ქენონმა, იმ დროინდელმა პირველ პრეზიდენტთა წევრმა, გააკეთა ასეთი განცხადება:

ყოველი ქვა ტაძრის საძირკველში და ყოველი ტაძარი, რომელიც ამენდება იმ წესრიგის თანახმად, რომელიც უფალმა გაუმხილა თავის წმინდა სამღვდელოებას, ამცირებს სატანის ძალას დედამიწაზე და ზრდის ღვთისა და ღვთაებრივ ძალთა სიდიდეს, ჩვენი გულისათვის ახდენს გადაადგილებებს ზეცაში, და მარადიული ღმერთებისა და მათთან მყოფ წმინდანთა ლოცვა-კურთხევას მოიხმობს ჩვენს თავზე („The Logan Temple," *Millennial Star,* ნოემბერი 12, 1877, გვ.743).

როდესაც კი ეკლესიის წევრები რაღაცით არიან აღელვებულნი ან გადამწყვეტი მნიშვნელობის არჩევნის წინამე დგანან, მათთვის ტაძარში წასვლა ჩვეულებრივი მოვლენაა. ტაძარი შესანიშნავი ადგილია ჩვენი დარდებისა და წუხილებისაგან განთავისუფლებისთვის. ტაძარში ჩვენ შეგვიძლია განვჭვრიტოთ ჩვენი სულიერი მომავალი. იქ, სატაძრო მსახურების დროს, ჩვენ არ ვართ „ამ სოფლისა."

ზოგჯერ ჩვენი გონება იმდენად დაკავებულია პრობლემებით და იმდენი რამ მოითხოვს ერთდროულად ჩვენს ყურადღებას, რომ აზროვნებაც და მხედველობაც გვიბინდდება. ტაძარში ყველაფერი, რაც კი ხელის შემშლელია, მტვერივით ჩამოიბერტყება, ნისლი და ბურუსი გაიფანტება, და ჩვენ ვიხილავთ იმას, რასაც ამის წინ ვერ ვხედავდით და ჩვენი განსაცდელის მოსაგვარებელ გზასაც ვიპოვით.

უფალი დაგვლოცავს წმინდა სატაძრო წესჩვეულებებში მონაწილეობისათვის. ეს დალოცვები არ იქნება შემოსაზღვრული მხოლოდ ჩვენი სატაძრო სამუშაოებით. ჩვენ მივიღებთ დალოცვებს ყველაფერში, რასაც კი ვაკეთებთ.

სატაძრო სამუშაო ჩვენი ფარი და ციხე-სიმაგრეა

არც ერთი სხვა სამუშაო არ წარმოადგენს ეკლესიისთვის იმაზე დიდ დაცვას, რაც სატაძრო სამუშაოა და მასთან ერთად, ოჯახური ისტორიული კვლევები. არც ერთი სხვა სამუშაო სულიერად არ გვწმინდავს ისე, როგორც ეს სამუშაო. არც ერთი სხვა სახის სამუშაო არ გვაძლევს ისეთ ძალას, როგორც ეს სამუშაო. არც ერთი სხვა სამუშაო არ მოითხოვს ამაზე უფრო მეტი სიწმინდის სტანდარტებს.

სატაძრო სამუშაო ფარივით გვიცავს, პიროვნულადაც და მთლიანობაშიც, მთელს ხალხს.

ასე რომ მოდით ტაძარში—მოდით და მოითხოვეთ თქვენი კუთვნილი ლოცვა-კურთხევანი. ეს წმინდა სამუშაოა.

მორგებულია Preparing to Enter the Holy Temple *(ბუკლეტი, 2002 წ.)*

© 2010 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია ა.შ.შ.-ში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი *Visiting Teaching Message, October 2010.* Georgian. 09370 131